პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 142 (12056) | პარასკევი, 23 ივნისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

უპატაკებენ სამშობლოს

ბრძვიან რა სკკპ XXII ყრილობის ალსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, აფხაზეთის მეჩაიეებმა ვადამდე, 16 ივნისს შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 11.080 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 11.000 ტონის ნაცვლად.

ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება. (საქდესი).

ვიშრომოთ, ვიცხოვროთ მშვიდობიანად

ქარელი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). — ჩვენი მეხსიერებიდან,— განაცხადა სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. რაზმაძემ,— არასოდეს არ ამოშლება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დევგმირული ბრძოლისა და გამარჯვების სიდიადე. ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმიდან ოცი წელი გავიდა. თექვსმეტი წელია საბჭოთა ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა და აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, ისე სოფელ ქარელის კოლმეურნეობის წევრებს აღფრთოვანებს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე. მშობლიური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს მშვიდობის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, სახელმწიფოთა ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას“.

მთელ მსოფლიოში კელავ მძლავრად გაისმა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის შემდეგი სიტყვები „ჩვენ მზად ვართ თუნდაც ხვალ მოვაწეროთ ხელი შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ყოველგვარი, ყველაზე მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დამყარების პირობებში“.

ჩვენ, კოლმეურნეები, მივესალმებით და ერთსულოვნად ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ნაბიჯებს და მზად ვართ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ ვიბრძვით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის. დათესილი გვაქვს 235 ჰექტარი სიმინდი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 140 ჰექტარი. პირველი და მეორე კულტივაცია დავამთავრეთ. საუკეთესო ნათესები გვაქვს. 130 ჰექტარი ცნობილმა მექანიზატორმა გიორგი სიხაშვილმა მექანიზებულად დაამუშავა და იბრძვის საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

ასევე კარგად არის დამუშავებული 80 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და ვიბრძვით საშუალოდ ჰექტარზე 400 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანისათვის. ეჭვი არ არის, რომ ხალხების საერთო ღონისძიებებით მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და უურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 488.

ნათელი აზრი

გაზეთები ხელიდან ხელში გადადის. ქარხანა „ელექტროკარის“ მუშა-მოსამსახურენი გულდასმით ეცნობიან ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე დიდი სამამულო ომის დაწყების მე-20 წლისთავის გამო. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ყველა ღონისძიება ხმარდება მშვიდობის უზრუნველყოფას.

ჩვენმა ქარხანამ გასულ ხუთ თვეში სასახელოდ იმუშავა, გეგმა 107 პროცენტით შეასრულა, გეგმის ზევით გამოუშვეთ 35 ელექტროკარი.

ქარხანა „ელექტროკარის“ კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ენერგიით იმუშაოს იმისათვის, რომ 10 თვის საწარმოო გეგმა სკკპ XXII ყრილობის დღისათვის შეასრულოს.

რ. სვანაძე,
ბათუმის ქარხანა „ელექტროკარის“ მექანიკური საამქროს უფროსი.

ურღვევი ერთიანობა

თბილისი საორთქლმავლო დეპოს კოლექტივში ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია მოსკოვის საზოგადოებრიობის კრებაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადწყვეტილებებმა.

საამქროებში, ბრიგადებსა და ცვლებში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

დეპოს მოწინავე ადამიანმა, საგამრეცხო საამქროს ცნობილმა ოსტატმა შ. ხიზანიშვილმა განაცხადა:

— მთელი მომდომებლი ვიბრძვით იმისათვის, რომ პარტიის XXII ყრილობას ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ. ჩვენმა საგამრეცხო საამქროს კოლექტივმა პლენუმის მასალების პასუხად ვალდებულება აიღო ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის ზევით საგამრეცხო შეკეთებიდან გამოუშვას 15 ორთქლმავალი. ჩვენი სიტყვა და საქმე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც განუყოფელი იქნება.

ცხაკაია, (სპეც. კორ.). კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ჩქეფს შინაარსიანი, შემოქმედებითი შრომა. მინდვრად, გზებზე, ჩაის ფაბრიკებში — ყველგან შეხვდებით გამრჯე ადამიანებს, წუთს არ კარგავენ ტყუილუბრალოდ, სწრაფად თოხნიან სიმინდს, უდანაკარგოდ იღებენ ჩაის ნედლეულს.

რაიონის მშრომელები უფრო აღფრთოვანნი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ 21 ივნისს მოსკოვის საზოგადოებრიობის კრებაზე და ცნობამ იმის შესახებ, რომ სკკპ პროგრამის პროექტი ამ დღეებში მოიწოვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და გამოქვეყნდება საყოველთაო განხილვისათვის.

— ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში, —ამბობს სოფელ შხეფის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ადამია, — ჯერჯერობით რაიონში პირველი ადგილი გვაკავია. ცუდად როდი ვმუშაობთ სიმინდის ნათესის მოვლაზეც. კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა სიმინდის პირველი თოხნა. ახლა ნათესებში ვაწარმოებთ მეორე კულტივაციას. ეს სამუშაოც სულ მალე დამთავრდება.

200 ცენტნერი — ჰექტარგე

ბორჯომი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). — ბორჯომელ ბაღჩეულ-ბოსტნეულ-ბოსტნეულ-ბოსტნ

სამშობლო მათ არ დაივიწყებს

უდიდესი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა ხალხმა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის დროს. ეს იყო მსხვერპლი დიადი, კმთილშობილური საქმისათვის. და ახლა, დიდი სამამულო ომის დაწყების ოცი წლის შემდეგ, მისი დამთავრების თექვსმეტი წლის შემდეგ, ჩვენმა ძვეყანამ უმაგალითო სიმამაცით მიაღწია თავისი ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის განვითარებაში და მეკიცი ნაბიჯით მიდის წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

პირველ დაძახილზე

ოცი წელი შესრულდა, რაც ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაეხსა თავს ჩვენს ქვეყანას. 22 ივნისს დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიაში არ ყოფილა. ამ დიდი ომიდან გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა ხალხი.

მტერზე გამარჯვებაში თავისი წვილი შეიტანა ქართველმა ხალხმა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ფრონტზე წარგზავნეს თავიანთი შემადგენლობის ნახევარზე მეტი — 52 ათასი კომუნისტი, ფრონტზე იქნა გაგზავნილი აგრეთვე 100 ათასზე მეტი კომკავშირელი, მათ შორის ათასობით მოხალისე.

გმირობისა და საბრძოლო მამაცობისათვის საქართველოს მკვიდრ 132 ჯარისკაცს, ოფიცერსა და მხედართუფროსს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 50 ათასზე მეტმა ქართველმა მეომარმა მიიღო მთავრობის მაღალი ჯილდო — ორდენები, ამასთანავე ქ. მოსკოვის, გმირი ქალაქებისათვის შეუპოვარი ბრძოლის, კავკასიის დაცვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქების განთავისუფლებისათვის, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების, ბერლინის აღებისა და სხვა საბრძოლო ოპერაციებისათვის მედლები დაჯილდოვდა ასეულ ათასობით ქართველი მეომარი.

ქართველი მეომრები ყველგან თავგანწირვით იბრძოდნენ: სასაზღვრო რაიონებში, ქ. ბრესტის მისადგომებთან ბევრი ქართველი ვაჟკაცი მკერდით გადაეღობა შემოსეულ მტერს და უთანასწორო ბრძოლაში დაეცა. აღსანიშნავია, რომ აქ მოქმედებდა პოლკი, რომლის ძირითადი შემადგენლობა ქართველები იყვნენ და თითქმის ყველა გმირულად დაიღუპა. მტრის მიერ გარემოცულ ბრესტის ციხეში ქართველმა მებრძოლებმა უდიდესი გმირობა გამოიჩინეს, მათგან მხოლოდ პანტელეიმონ აბხაზავას, ონისიმე ასათიანის, ალექსანდრე კალანდაძის, მიხეილ შემლაძის, გენადი ჭანტურიძის, სახელოვანი ქართველი ქალიშვილის თამარ ჯიჯიშვილის და სხვა რამდენიმე მებრძოლის გვარებია ცნობილი.

ქ. პერემიშლთან შეუპოვრად იბრძოდა მამაცი და უნარიანი მხედართუფროსის, ოთარფინელებთან ომის მონაწილის, გენერალ-მაიორ პაეკე აბრამიძის დივიზია. მას მხარში ედგა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ნიკოლოზ კალაძე. მათი ნაწილები ულმობლად ანადგურებდნენ გერმანელთ ფაშისტთა ჯარებს.

როცა მტერმა პერემიშლი პირდაპირი დარტყმით ვერ იგდო ხელთ, შეეცადა ფლანგებიდან შემოეკლო ტანკების საფარით. მაგრამ ნაცადი გენერალი როდი ყოფილა, მან თავისი დივიზიის მთელი საარტილერიო და სანალმტყორცნო ცეცხლი დააყარა ჰიტლერელებს, მრავალი ტანკი მწყობრიდან გამოიყვანა, გაჟლიტა მტრის ასობით ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელები სასტიკად დამარცხდნენ.

გასაოცარი შეუპოვრობით აკავებდა მტერს მოსკოვის მისადგომებზე საბჭოთა არტილერისტების ერთ-ერთი დიდი შენაერთი ნიჭიერი სარდლის კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით. როდესაც დედაქალაქს საშრეკიდან გარსშემოვლის უშუალო საფრთხე დაემუქრა ტულასთან ლესელიძემ ოთა პობიციაზე გამოიყვანა თავისი არტილერისტები და ასე მიმართა: „სამშობლო ჩვენგან თავგანწირვას მოითხოვს! დედაქალაქი მოსკოვი უნდა ვიხსნათ, დასცხეთ ფაშისტ ქვეწარმავლებს! ცეცხლი მტრის ტანკებს!“.

დაძაბულ, უთანასწორო ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა პირდაპირი დაშენით, სასტიკად მარცხი აგემეს გუდერიანის სატანკო არმიას ტულასთან.

გაფთრებით იბრძოდა გენერალ პ. ჩანჩიბაძის დივიზია მოსკოვის დაცვისათვის. ოპერაციის პროცესში დივიზიამ მიიღო უმაღლესი სარდლობის ბრძანება გადაელახა ფრონტის ხაზი, შეკრილიყო მტრის ხერგში და ხელი შეეშალა მისთვის მოსკოვისაკენ წინსვლაში. ჩანჩიბაძის დივიზიამ ბრწყინვალედ შეასრულა სარდლობის ეს მეტად მნიშვნელოვანი ოპერატიული დავალება. საბჭოთა ცხენოსნებთან ერთად მისი დივიზია თავზარს სცემდა მტერს, ანადგურებდა მის კომუნიკაციებს. დივიზიამ გაარღვია მტრის გარემოცვა და საბჭოთა არმიის ნაწილებს შეუერთდა.

მოსკოვის ცის თაღს გმირულად იცავდა საზენიტო არტილერიის დივიზია გვარდიის გენერალ-მაიორ მ. კიკნაძის მეთაურობით.

ასევე მამაცურად იცავდნენ დედაქალაქს გენერალ პ. ჩხობაძის მებრძოლები, თ. გვენეტაძის საარტილერიო დივიზიონი, კომისარ ი. მითაიშვილის ქვედანაყოფი, მეტყვიამფრქვევე ოცეულის მეთაური კაკული, სერჟანტი დ. ნიფარიძე, მფრინავი მშვენიერაძე და ათასობით სხვა ქართველი მეომარი.

რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების სახელოვანი შვილების მხარდამხარ გმირ ქალაქ ოდესისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. მათ შორის განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა სახელგანთქმულმა საზღვაო მფრინავმა მაიორმა აღექსანდრე წეროწუმიამ.

ბევრი ქართველი მეომარი თავგანწირვით იბრძოდა სევასტოპოლის დასაცავად მთელი 8 თვის განმავლობაში; იმათ შორის, ვინც თავი შესწირა სახელგანთქმული ციხე-სიმაგრისა და საზღვაო ნავსადგურის დაცვას, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიე ადამიას და გრიგოლ სხულუხიას თავგანწირვა.

სევასტოპოლისათვის გაფთრებით იბრძოდა შე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადა, რომლის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური იყო კაპიტანი არკადი გეგეშიძე.

გმირი ქალაქის დამცველთა რიგებში ჩადგა მ. გახოკიძე და ექვსი თვის განმავლობაში 100-ზე მეტი ჰიტლერელი მოკლა სევასტოპოლის მისადგომებზე. სახელოვან მეზღვაურთა შორის, რომელთაც დიდი სამამულო ომის ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერეს, ს

საბჭოთა კავშირი — მშვიდობის ბურჯი

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

ვაშინგტონი, 22 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაუშედჩენკო იუწყება:

ვაშინგტონის საღამოს გაზეთების უკანასკნელი გამოშვება 21 ივნისს მაშინ გამოვიდა, როცა დიდი სამამულო ომის 20 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის ტექსტის გადმოცემა ჯერ კიდევ გრძელდებოდა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს მხოლოდ პირველი მოკლე ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ.

„ივნინგ სტარი" მთავარ ყურადღებას უთმობს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ხელმოწერილი იქნება მომდინარე წლის ბოლოს.

„დეილი ნიუსი" გამოყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ თუ შეერთებული შტატები დაარღვევენ ახლანდელ ნებაყოფლობით უარის თქმას ატომური იარაღის გამოცდის შესახებ, მაშინ საბჭოთა კავშირიც დაიწყებს ატომური იარაღის გამოცდას.

ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც გაძლიერებით აღვივებენ „ცივ ომს" და საერთაშორისო დაძაბულობას, ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გამოთქმულ საბჭოთა მთავრობის მტკიცე განზრახვას — უკვე მომდინარე წელს დადოს საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან—აცხადებენ როგორც რაღაც „საფრთხეს".

თუმცა საქმე ეხება საზავო ხელშეკრულების დადებას და მიუხედავად ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო და ზუსტი განცხადებისა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს განზრახული არა აქვს შეზღუდოს კავშირურთიერთობა დასავლეთ ბერლინისა გარე სამყაროსთან, ვაშინგტონელი პოლიტიკური მოღვაწენი მაინც გაყვერიან „კრიზისის" შესახებ და უარს ამბობენ ისმინონ გერმანიისა და ბერლინის საკითხების რაიმე მოწესრიგება.

სენატორმა კუპერმა (რესპუბლიკელი კენტუკის შტატისაგან), რომელიც გამოვიდა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონში ცნობილი გახდა, ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვას წარმოთქვამსო, წინადადება წამოაყენა, რომ პრეზიდენტმა კენედიმ მოიწვიოს ექსპერტთა „ორპარტიული" ჯგუფი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რათა კონსულტაცია გაუწიონ „ბერლინის კრიზისის" საკითხს.

სენატორმა ლაუშმ (დემოკრატი ოჰაიოს შტატისაგან) სენატში მოითხოვა შეიმუშავოს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ხელმოწერილი იქნება მომდინარე წლის ბოლოს.

„ნიუიორკ ტაიმსი" ამბობს, „ეს ნაბიჯი ეკუთვნის ადამიანებს, ომისა და ომის ეშინიათ, ეშინიათ ომის, ეშინიათ ომის, ეშინიათ ომის".

„ტაიმი" ამბობს, „ეს ნაბიჯი ეკუთვნის ადამიანებს, ომისა და ომის ეშინიათ, ეშინიათ ომის, ეშინიათ ომის, ეშინიათ ომის".

„

ჩვენი მეგობრობა მარადიულია

ხვალ თბილისში გასტროლებს იწყებს ქ. დნეპროპეტროვსკის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის თეატრი

უკრაინის ვრცელი საკოლმეურნეო მინდვრებისაგან, კარპატების გაცისკროვნებული ახალი ცხოვრებისაგან, ჭაღარა დნეპრსა და კახოვკისაგან, უკრაინის სოციალისტური კულტურის ყველა შემოქმედისაგან თქვენ, ჩვენს ძვირფას მაყურებლებს, გვინდა გადმოგცეთ გულითადი, მხურვალე უკრაინული სალამი.

დიდ სიხარულსა და მღელვარებას მოუცავს კოლექტივი დნეპროპეტროვსკის შევჩენკოს სახელობის თეატრისა, რომელიც თავისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე პირველად ჩამოდის გასტროლებზე მზიური საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

უკრაინელი ხალხი დიდად აფასებს ყურადღებას, რომელსაც საქართველოს მშრომელები უკრაინული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი იჩენენ.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ წელს გვხვდა დიდი პატივი ვიყოთ წარმომადგენლები უკრაინის საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა საქართველოში, რომლის ნახვაზეც დიდი ხანია ოცნებობდით. გვინდა გავეცნოთ ქართველი ხალხის ძველ კულტურას, ბედნიერ აწმყოს; გვინდა გულითადად მივესალმოთ ხალხს, რომელმაც კაცობრიობას მისცა შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა...

უკრაინული ეროვნული ხელოვნების მატიანეში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს უკრაინის უძველეს კოლექტივს — ტ. გ. შევჩენკოს სახელობის თეატრს.

შევჩენკოს სახელობის თეატრი, რომელიც კიევში 1919 წლის 17 მარტს შეიქმნა, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი სახელმწიფო თეატრი იყო.

იგი გაიხსნა იმ დღეებში, როცა უკრაინელი ხალხი დღესასწაულობდა თავისი დიდი შვილის, რევოლუციონერ-დემოკრატის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 105 წლისთავს. თეატრს შევჩენკოს სახელი ეწოდა.

თეატრის ზრდა და ჩამოყალიბება მიმდინარეობდა მუშა მაყურებელთან შემოქმედებითი თანამეგობრობით. თეატრი მომსახურებას უწევდა უკრაინის სამრეწველო ცენტრებს — კრივოი როგის აუზს, დონეცის აუზს და სხვ., 1927 წლიდან კი ქალაქ დნეპროპეტროვსკში დამკვიდრდა.

საბჭოთა სინამდვილე კოლექტივს გეზს აძლევდა მუდმივი ძიებისა და შემოქმედებითი შემართებისაკენ, იმისაკენ, რომ განეხორციელებინა პიესები თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე.

თეატრის ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა ა. კორნეიჩუკის დრამატურგიამ. ჩვენს სცენაზე განხორციელდა „ესკადრის დაღუპვა“, „პლატონ კრეჩეტი“, „ბოგდან ხმელნიცკი“ „უკრაინის ველებში“ და მისი სხვა პიესები.

საბჭოთა დრამატურგების პიესებთან ერთად თეატრი დგამს ტ. შევჩენკოს „ნაზარ სტოდოლიას“, ი. ტობილევიჩის „ასი ათასს“, ე. ლესინგის „ემილია გალოტის“, მ. გორკის „მეშჩანებს“, ა. ოსტროვსკის „ქარიშხალს“ და სხვ.

შევჩენკოს სახელობის თეატრის კოლექტივს მუდამ ემატებოდნენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც პროფესიულ სცენაზე მოდიოდნენ ინსტიტუტებიდან, თეატრალური სასწავლებლებიდან და მხატვრული თვითმოქმედების წრეებიდან.

ომის წინ დნეპროპეტროვსკის შევჩენკოს სახელობის თეატრი საბჭოთა უკრაინის ერთ-ერთ წამყვან კოლექტივად გაიზარდა.

დიდი სამამულო ომის წლებში თეატრი ევაკუირებული იყო და აქტიურობისკენ და ნამანგანში მუშაობდა. ამ ქალაქების მშრომელები გულთბილად შეხვდნენ უკრაინული თეატრის სპექტაკლებს.

1944 წლის აპრილში თეატრი მშობლიურ დნეპროპეტროვსკში დაბრუნდა. დაბრუნების პირველსავე დღეებში თეატრი თავის სპექტაკლებს უჩვენებს არა მარტო სტაციონარზე, არამედ ოლქის მშრომელთა წინაშეც გამოდის.

ქ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“, ა. კორნეიჩუკის „მაკარ დუბრავა“, ა. არბუზოვის „მოგზაურობის წლები“ თეატრის საეტაპო ნამუშევრები იყო.

თეატრი წამყვან ადგილს უთმობს უკრაინული საბჭოთა დრამატურგიის პიესებს, როგორიც არის ვ. სობკოს „მეორე ფრონტს იქით“, ვ. მინკოს „გვარების დაუსახელებლად“, ი. პლატონის „ქარბუქი“, ლ. დმიტრკოს „მარად ერთად“. ამავე დროს დიდ ადგილს უთმობს უკრაინული კლასიკის პიესებსაც — — ი. ტობილევიჩის „ცხოვრების ზღვას“, მ. სტარიცკის „მარუსია ბოგუსლავკას“ და სხვ.

თეატრის შემოქმედებითს სახეს მარტო დრამატული რეპერტუარი როდი განსაზღვრავდა. იგი ამასთანავე მუშაობდა მუსიკალურ-დრამატულ სპექტაკლებზეც, რომელთაგან განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ ი. კოტლიარევსკის „ნატალკა პოლტავკა“, ს. გულაკ არტემოვსკის „ზაპოროჟიელი დუნაის გალმა“, ი. მილუტინის „ტრემბიტა“ და სხვ.

1956 წელს თეატრმა პირველად დადგა არკასის ოპერა „კატერინა“ ტ. შევჩენკოს ამავე სახელწოდების პოემის მოტივების მიხედვით.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოსილმა შევჩენკოს სახელობის თეატრმა 1959 წელს იდღესასწაულა თავისი დაარსების 40 წლისთავი.

ღრმა ხალხურობა, მგზნებარე კომუნისტური იდეურობა იყო და არის თეატრის შემოქმედებითი ენერგიის წყარო. დნეპროპეტროვსკის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის თეატრის მიერ განვლილი გზა — ეს არის გზა საბჭოთა უკრაინული თეატრისა მისი მაღალიდეური მისწრაფებებით კეთილშობილური მიზნებით, სოციალისტური რეალიზმის სკოლით.

თეატრის არსებობის მრავალი წლის მანძილზე მასში ჩამოყალიბდა მტკიცე აქტიორული კოლექტივი, რომელმაც უჩვენა თავისი ხელოვნება მოსკოვსა და

იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ სხვისი შრომის ხარჯზე იცხოვრონ.

საგასტროლო რეპერტუარშია ი. ლაზუტინის „მილიციის სერჟანტი“ — პიესა, სადაც მოთხრობილია უბრალო საბჭოთა ადამიანებზე, მათ შრომაზე; ა. უსაენსკის „ჯორფლინნი ქალიშვილი“, რომელშიც დახატულია კომუნისტური მორალის მატარებელი უბრალო და პატიოსანი ქალიშვილის ცხოვრება.

უკრაინული კლასიკის პიესებიდან ვუჩვენებთ მ. სტარიცკის დრამას „ბედი არ უწერია“, ი. ტობილევიჩის დრამას „უიღბლო“, მ. სტარიცკის დრამას „ბოშა ქალი აზა“, გ. კვიტკა-ოსნოვიანენკოს კომედიას „შელმენკო დენშჩიკი“; დასავლეთ ევროპის კლასიკა წარმოდგენილი იქნება ა. კალდერონის კომედიით „სიყვარულს არ ეხუმრებიან“.

გასტროლების პერიოდში თეატრი თბილისელ მაყურებლებს გააცნობს უკრაინული სცენის ოსტატთა შემოქმედებას, უკრაინის სსრ სახალხო არტისტებს, სტალინური პრემიის ლაურეატებს ზ. ხრუკალოვას, ა. ვერმენიჩს, ვ. ოეჩარენკოს, უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტებს ს. სტანკევიჩს, დ. სადოვსკის; მსახიობებს უ. კალინიჩენკოს, გ. კოზლოვსკაიას, ლ. სოლნცევას, ა. პულინას, ლ. ბონდარენკოს, გ. ბერეზანსკაიას, ა. მაქსიმოვას, კ. კარპენკოს, პ. ჩალის, ა. ბალაბანიჩენკოს, ტ. სტაროვოიტენკოს; ახალგაზრდა მსახიობებს ე. ვერეშჩაგინას, ზ. მარტინოვას, ო. პეტრენკოს, ვ. ნებოიჩკოს, ბ. მარტინოვს, ი. სასკოს, ვ. ჩაიკინს და სხვებს.

თეატრის სპექტაკლები გაიმართება არა მარტო სტაციონარში — ქალაქის თეატრსა და კლუბებში; ჩვენ ვეწვევით ავტოფეტალინრის, რუსთაველ და გადავცემთ სალამს დნეპროპეტროვსკის ოლქის მეტალურგებისადმი.

გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრები თბილისის წამყვან საწარმოებში.

დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის თეატრის გასტროლები საქართველოში ახალი პასუხსაგები გამოცდა იქნება ჩვენთვის. იგი კიდევ ერთხელ დადასტურებს, რომ ქართველი ხალხისა და უკრაინელი ხალხის მეგობრობა მარადიულია.

ა. ბელგოროდსკი,
უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, რეჟისორი.

სურათებზე: ზევით — სცენა სპექტაკლიდან „სიყვარულს არ ეხუმრებიან“ ქვევით — სცენა სპექტაკლიდან „ბოშა ქალი აზა“.

გვახარებს თქვენთან ყოფნა

ოცდაათ წელიწადზე მეტია ვმუშაობ თეატრში, რომელიც ატარებს დიდი კოგზარის, პოეტ-რევოლუციონერის ტ. გ. შევჩენკოს სახელს. ამ წლების მანძილზე ჩვენ ვყოფილვართ მოსკოვსა და ლენინგრადში, ნოვოსიბირსკსა და სვერდლოვსკში, როსტოვსა და ვორონეჟში, კიევსა და ზაპოროჟიეში. მაგრამ ცნობა, რომ საქართველოში მივდივართ, დიდი დღესასწაული იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ თეატრის მთელი კოლექტივისთვისაც.

და აი გამოგვაქვს ჩვენი მცირედი ნამუშევარი — ჩვენი სპექტაკლები ძველი და დიდი კულტურის ქვეყანაში, მეტად მომთხოვნი მაყურებლის სამსჯავროს წინაშე.

ჩემს პირველ შეხვედრას თბილისის მშრომელებთან მე ვიწყებ 24 ივნისს მ. სტარიცკის დრამაში „ბედი არ უწერია“, სადაც ვთამაშობ მემამულე ლიაშჩენკოს როლს. ეს დრამა მოგვითხრობს უბრალო გლეხი ქალიშვილის კატრიას ბედზე, რომელმაც გულუბრყვილოდ დაიჯერა მემამულის შვილის სიყვარული, პატიოსნება და დაპირებანი, რასაც უბედური დასასრული მოჰყვა.

შრომობდეს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, ქმნიდეს ჩვენი შესანიშნავი დროის შესაფერ სპექტაკლებსა და სახეებს, უფრო ხშირად ხვდებოდეს ახალ მაყურებელს — აი მთავარი ამოცანა, რომელიც დგას შევჩენკოს სახელობის თეატრის კოლექტივის წინაშე.

ვ. ოეჩარენკო,
უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ოლიმპიადა

ოგერაკაუზენი, 22 ივნისი. (საკდესი). 21 ივნისს აქ გაიმართა ევროპის მოჭადრაკეთა გუნდური პირველობის პირველი ტური.

შესვენებისას სსრ კავშირ-ესპანეთის შეხვედრის შედეგი იყო 7:1 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ორ დაუმთავრებელ პარტიაში — ალბარედა-კორჩნოისა და გარსია ორუს-ბაგეროვის შეხვედრებში ერთგვარი პოზიციური უპირატესობა კორჩნოისა და ბაგეროვის მხარეზეა.

პირველ ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტალის შეხვედრამ ესპანელ ოსტატ ტორანთან. ტალმა უკეთგდო შემოთავაზებული ყაიმი და მე-16 სვლაზე მხედრისა და კუს სანაცვლოდ ლაზიერის მოულოდნელი შეწირვით მძლავრად შეუტია მოწინააღმდეგის მეფეს. ტალის ეტლისა და სამი მსუბუქი ფიგურის შეტევა მოუგერიებელი იყო და 26-ე სვლაზე ტორანმა თავი დამარცხებულად ცნო.

მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკის შეხვედრა ფ. პერეცთან მანევრულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შუა პარტიაში ესპანელმა ოსტატმა შეწირა ფიგურა სამ პაიკში. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა გაანეიტრალა მოწინააღმდეგის კონტრატაში, ხელთ იგდო ინიციატივა და მეფეზე პირდაპირი შეტევით გაიმარჯვა 41-ე სვლაზე.

ჩოგბურთელთა ასპარეზობა

საერთაშორისო ტურნირებს ჩოგბურთში ახალ-ახალი შეჯიბრება მოსდევს. ახლა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები ემზადებიან დიდი ასპარეზობისათვის — უიმბლდონის ტურნირისათვის. ამ დღეებში ჩვენი სპორტსმენები გამოდიოდნენ ბეკემის შეჯიბრებაში, ორშაბათიდან ისინი ჩაებნენ „კუინს კლუბის“ ტურნირში.

პირველ ტურში ნ. მძინარაშვილი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენს ირჟი ივაორსკის. მიუხედავად იმისა, რომ პირველ პარტიაში ნ. მძინარაშვილმა დამარცხება განიცადა 1:6, მეორე პარტიაში მან შეძლო ძალების მობილიზება და იგი თავის სასარგებლოდ დაამთავრა 6:4. მესამე პარტიაში, როდესაც ანგარიში იყო 5:4, მეტოქემ შეწყვიტა ბრძოლა და გამარჯვება ქართველ სპორტსმენს მიუკუთვნა.

ტ. ლეიუსმა წაიგო შეხვედრა ამერიკელ დ. ფროსტსთან 3:6, 3:6. ა. დმიტრიევამ მოუგო პ. ვილიერს (ინგლისი) 6:3, 6:1.

პირველი ტურის უკანასკნელ მატჩში გ. ბაკშეევამ და ნ. მძინარაშვილმა წააგეს შეჯიბრება ამერიკელ ჩოგბურთელებთან 6:8, 4:6.

საერთაშორისო მატჩი

გუშინ დონის როსტოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ჰოლანდიის გვიგ-ისა და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. მატჩის შედეგია 3:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

ტორპედოელთა გამარჯვება

მოსკოვი. 22 ივნისი. ღღეს აქ გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მეოთე წრის მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ვორონეჟის „ტრუდის“ გუნდები. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:1.

რამდენიმე სტრიქონით

△ **პრაღაში** მედგა პირველი ფარალელური მატჩი კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასზე, თამაშობდნენ როგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და პრაღის „სლოვან-ორბისის“ ქალთა გუნდები. მატჩი ხასიათდებოდა მეუპოყარი ბრძოლით და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 77:76.

△ **ბიმბაკალ** კვირაღდამდე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში. 23 ივნისს კიევში ითამაშებენ დინის „ალიანსენის“ და კიევის „დინამოს“ გუნდები, ხოლო 24 ივნისს მოსკოვში არგენტინისა და სსრ კავშირის ნაკრები ვუნდები.

△ **სსრ კავშირის** ჩემპიონმა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა ორჯერ დაამარცხა ბუქარესტის კალათბურთელ ვაკთა კოლექტივი და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა.

ევროპის ჩემპიონობა ჭადრაკში

ბელგრადი. 21 ივნისს აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონობა ჭადრაკში. ტალის ეტლისა და სამი მსუბუქი ფიგურის შეტევა. მოუგერიებელი იყო და 26-ე სვლაზე ტორანმა თავი დამარცხებულად ცნო.

მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკის შეხვედრა ფ. პერეცთან მანევრულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შუა პარტიაში ესპანელმა ოსტატმა შეწირა ფიგურა სამ პაიკში. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა გაანეიტრალა მოწინააღმდეგის კონტრატაში, ხელთ იგდო ინიციატივა და მეფეზე პირდაპირი შეტევით გაიმარჯვა 41-ე სვლაზე.

კალათბურთელთა ტურნირი

სოფიაში გრძელდება შვიდი ქვეყნის კალათბურთელთა ტურნირი, სადაც გამოდიან ამ ქვეყნების „დინამოს“ და სხვა სასპორტო საზოგადოებათა უძლიერეს ვაჟთა გუნდები.

როგორც ვიუწყებოდით, ტურნირის პირველ მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებმა. ამიტომ ამ კოლექტივების შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბრძოლა თავიდანვე თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და თამაშიც მათ წაიყვანეს. ჩინელ კალათბურთელთა ყოველგვარი ცდა ხელთ ეგდოთ ინიციატივა უშედეგო გამოდგა. გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 83:74.

ეურნალისტთა და სპეციალისტთა აზრით, თბილისელები პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან. ახლა მათ დარჩათ პასუხსაგები შეხვედრა ბულგარეთის „სპარტაკთან“.

გუშინ გაიმართა ტურნირის მორიგი შეხვედრები. თბილისის დინამოელებმა დაამარცხეს პოლონეთის გუნდი ანგარიშით 73:61.

ორთაჭალის საცურავ აუზში

გუშინ საქცხიმეფერტრესტის საცურავ აუზში დაიწყო საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ცურვაში ფინეთის „ტულისა“ და საქართველოს „განთიადის“ გუნდებს შორის.

ცურვის უმრავლეს სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კარგი შედეგები აჩვენეს. მათ პირველი ადგილები დაიკავეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და ზურგით ცურვაში. სტუმრებიდან უძლიერესი იყო ს. ეოლსტრემი, რომელმაც გაიმარჯვა ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე ცურვაში.

ღღეს გაიმართება დასკვნითი შეხვედრები.

შეჯიბრება ფიგურულ სრიალში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში პირველად შედგა შეჯიბრება ფიგურულ სრიალში საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოცეკვავეთა მონაწილეობით.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მოცეკვავეებთან ერთად აქ გამოდიან საქართველოს სპორტსმენებიც, რომელთათვის ასეთი სახის შეჯიბრება წარმოადგენს გამოცდილების გაზიარებას და დაოსტატებისათვის ბრძოლას.

უძლიერესთა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრება 25 ივნისამდე გაგრძელდება.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

23 ივნისი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დემონი (მე-4 ამონ. მე-10 წარმ.), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია. ილიკო და ილარიონი, **სანკულტურის** — თეთრი ავადმყოფობა (მე-4 ამონ.).

ტელევიზია: 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი — „უგზოუკვლოდ დაკარგული“, 12.30 — გადაცემა — „ქვაბვრელელი ქალიშვილები“ (მაყურებელთა თხოვნით), 19.40 — კონნერკეევი, 20.00 — გადაცემა — „ტექნიკის სიახლენი“, 20.15 — ახალი ამბები, 20.30 — მხატვრული ფილმი — „წითელი მელანი“.

დიდად ვაფასებთ...

თვითეული მსახიობის ცხოვრებაში, მის შემოქმედებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამშობლო ქვეყანაში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ბევრ ქალაქში ყოფილა ჩვენი თეატრი, მაგრამ საქართველოში პირველად ჩამოვდივართ. უკრაინელი ხალხი დიდად აფასებს. იმ ყურადღებას, რომელსაც იჩენენ საქართველოს მშრომელები უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი.

უკრაინელი მკითხველები კარგად იცნობენ ქართულ პოეზიას და მხატვრულ პროზას, რომლებმაც მსოფლიო მნიშვნელობის მთელი რიგი ნაწარმოებები მოგვცეს. უკრაინისა და საქართველოს მშრომელები ყოველთვის ღირსეულად აღნიშნავენ ქართველი ხალხის ერთგული შვილის დავით გურამიშვილის ხსოვნას, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა უკრაინაში.

1954 წელს თბილისში საგასტროლოდ იყო ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის თეატრი. იმ დღეებში დაწყებულმა მეგობრობამ საქართველოს მშრომელებთან თავისი გამოხატულება პპოვა წელს, დნეპროპეტროვსკის შევჩენკოს სახელობის თეატრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შევჩენკოს სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში ხელს შეუწყობენ მოძმე კულტურების შემოქმედებითი თანამეგობრობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის განმტკიცებას.

ს. სტანკევიჩი,
უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი.

პირველი საგასტროლო მოგზაურობა

გვახსოვს, პირველად რომ ვსწავლობდით კიევის თეატრალურ ინსტიტუტში, თანაკურსელებთან ერთად ხშირად ვიკრიბებოდით, რათა გვესაუბრნა ჩვენს მომავალზე, თეატრზე, რომელშიც მუშაობა მოგვიხდებოდა. რა თქმა უნდა, ოცნებობდით პირველ საგასტროლო მოგზაურობაზე, რომლის დროსაც ჩვენ ვხედავთ ახალ ადამიანებს, ახალ ქალაქებს, შეხვედრებს. ყველგან ჩქეფს ხალისიანი, სიცოცხლისმოტრფიალე შრომა.

დიდი ხანია გულში ვატარებდით ოცნებას — გვენახა საქართველო. ბევრი რამ გვსმენია და წაგვიკითხავს შესანიშნავ თბილისზე.

სტუდენტობისას ინტერესით ვსწავლობდით შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებს უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის თარგმანით, ვეცნობოდით დავით გურამიშვილის „დავითიანს“ და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

და აი ჩვენი ოცნება ახდა. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უფრო ახლოს გავეცნოთ ქართველი ხალხის კულტურას, ყოფაცხოვრებასა და ეროვნულ თავისებურებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ახალ მეგობრებთან შეხვედრა, საქართველოს კულტურულ ფასეულობათა გაცნობა გაგვამდიდრებს ახალი, წარუშლელი შთაბეჭდილებებით, ხელს შეუწყობს ჩვენს სრულყოფასა და ზრდას.

ელ. ვერეშჩაგინა,
ო. პეტრენკო.

ი. ა. გაგარინი ეწვევა კუბას

კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროსა და კუბის მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის მიწვევით კუბას ესტუმრება პირველი კოსმონავტი საბჭოთა კავშირის გმირი ი. ა. გაგარინი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კუბელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — 26 ივლისისადმი მიძღვნილ ზეიმში.

პროვოკაციების გზით

ბონი, 21 ივნისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები განაგრძობენ პროვოკაციულ მოქმედებას, რომელიც აძლიერებს დაძაბულობას ბერლინის საკითხში. ბონის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა დღეს, რომ, დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებთან შეთანხმებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი 12 ივლისს ორი დღის ვიზიტად ჩავა დასავლეთ ბერლინში.

ფრანგ გლეხთა მოთხოვნები

პარიზი. 22 ივნისი. (საკდესი). სამი კვირაა ფრანგი გლეხები შეუპოვრად იბრძვიან მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ეს მოძრაობა გავრცელდა საფრანგეთის მთელ რიგ ახალ დეპარტამენტებში.

ილისა და ვილენის დეპარტამენტში შატობრიის მახლობლად გუშინ გლეხებმა ორი საათის განმავლობაში ჩაკეტეს მოძრაობა პარიზ-ბრესტის რკინიგზის ერთ-ერთ უბანზე. გლეხები რომ გაერეკათ, პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზის გრანატები.

საფრანგეთის მთავრობას არა აქვს იმის იმედი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ძალის მეოხებით შეწყვეტს გლეხთა ბრძოლას და განზრახული აქვს შექმნას საფრანგეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 30 დიდი სახელმწიფო ბაზარი, რომლებიც შესარულებდნენ რეგულატორის როლს ფასების დაწესებაში.

მაგრამ ასეთი ღონისძიებები ვერ დააკმაყოფილებენ გლეხებს, რომლებიც მოითხოვენ ძირეულ ცვლილებებს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებაში.

სოლიდარობა ანგოლის ხალხთან

კაირო, 22 ივნისი. (საკდესი). გუშინ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის საბჭოს მუდმივი სამდივნოს გადაწყვეტილებით დაიწყო „კვირეული აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობისა ანგოლის ხალხთან და პორტუგალიის სხვა კოლონიების ხალხებთან“.

ამასთან დაკავშირებით მუდმივმა სამდივნომ აფრიკა-აზიის სოლიდარობის ეროვნულ კომიტეტებს გაუგზავნა დეპეშები, რომლებშიც მოუწოდებს მოაწყონ ამ კვირეულის განმავლობაში საპროტესტო დემონსტრაციები და მასობრივი მიტინგები პორტუგალიის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ, აგრეთვე მოაწყონ პრესასა და რადიოში კაპანია ანგოლის ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად.

პეკინი, 22 ივნისი. (საკდესი). მიმდინარე წლის დამდეგს ანგოლელმა ხალხმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა თავის შეიარაღებულ ბრძოლაში პორტუგალიის იმპერიალიზმის ლიკვიდაციისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, განაცხადა „ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვირიატო კრუზმა სინხუას საგაზეთოს კონკიერი კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ანგოლელი ხალხი, ხაზგასმით აღნიშნა ვირიატო კრუზმა, იძულებული გახდა ხელში აეღო იარაღი იმისათვის, რომ საუდამოდ მოეღოს ბოლო პორტუგალიის საძულველ კოლონიურ რეჟიმს.

ვ. კრუზმა აღნიშნა, რომ ანგოლის ხალხის წინააღმდეგ კოლონიურ ომში პორტუგალიელ კოლონიზატორებს ფაქტიურად შთაგონებენ და დახმარებას უწევენ ფაშიზმის, აგრეთვე ნატოს ძალები.

„ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა მოუწოდა მთელი მსოფლიოს ხალხებს, რომლებიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, ანგოლასთან სოლიდარობის კვირეულის მსვლელობაში მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიონ ანგოლის მებრძოლ ხალხს.

შეეხო რა ამერიკის იმპერიალიზმის მონაწილეობას ანგოლის ეროვნულ სამდიდრეთა ოკრცაში, ვირიატო კრუზმა თქვა: შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული პოზიციები უკავიათ ანგოლის ეკონომიკაში. ისინი კონტროლს უწევენ ანგოლის საგარეო ვაჭრობის მეტ ნაწილს, მტკიცედ დამკვიდრდნენ ნავთობის მრეწველობასა და ალმასის მოპოვების მრეწველობაში. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ გამოდევნონ პორტუგალიელები და დაიკავონ მათი ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ ანგოლელმა ხალხმა ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე უნდა გადალახოს თავისი საბრძოლო ამოცანების შესრულებაში, განაცხადა ვირიატო კრუზმა, მას მტკიცედ სწამს თავისი საბოლოო გაბარჯვება.

ბადი პროტესტს აცხადებს

პარიზი, 21 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ჩადის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა საფრანგეთის წარმომადგენლობასთან ეკონომიკური ურთიერთობა ფორტ-ლამინში“.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის საფრანგეთის მთავრობას დღემდე არ დაუნიშნავს იქ ელჩი და კვლავ ჰყავს ფორტ-ლამინში თავისი უმაღლესი კომისარი. მთავრობას მიაჩნია, როგორც ჩანს შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი უმაღლესი კომისარი უფრო შეეფერება ყოფილ კოლონიას, ვიდრე ელჩი.

ბადელ ეროვნული ფრონტის ლიდერ ფრანსუა ტომბალბაიმ, „ბადელ ეროვნული ფრონტის“